პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთწლედი — ვადამდე!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ნოემბერი კვირა 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 275 (14271)

ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს თბილისის ქარხანა „ელექტროგამზომების“ კოლექტივი. საწარმოში ყველა რგოლი, თვითეული წევრი ერთმანეთს ეჯიბრება, რომ აქედანვე მოუმზადონ მტკიცე საფუძველი მომავალი წლის გეგმების ვადაზე შესრულებას.

სურათზე: „ელექტროგამზომების“ № 2 მექანიკური საამქროს მოწინავე მუშები (მარჯვნიდან): ხარატები ც. ვაჩაძე და რ. არუთინოვი, ზეინკალი გ. ტუაევი, ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

□ □

გეგმის გაღამეტებით — 10.000 ტონა შაქრის ჭარხალი

ხაშურელთა ნოგათი

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. მაღალაშვილმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. მაჩიასაშვილმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს. 18.200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 27.300 ტონა შაქრის ჭარხალი.

რაიონის მეჭარხლეებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 10.000 ტონა შაქრის ჭარხალი. 23 ნოემბრისათვის ვალდებულების ანგარიშში მიეყიდულია 9.000 ტონა. ამ საქმეში დაწინაურდნენ ხცისის, ცოცხნარის, სურამის, ფლევის, წრომის, ტკოცის, ოსიაურის კოლმეურნეობები; ქვიშხეთისა და ალის საბჭოთა მეურნეობები. მათ ვალდებულების ანგარიშში სახელმწიფოს მიჰყიდეს რამდენიმე ათასი ტონა შაქრის ჭარხალი. შაქრის ჭარხლის დამზადება გრძელდება.

მეცხრედ...

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს თბილისის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივს (დირექტორი გ. ჩიჯავაძე) სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგიისა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით ზედიზედ მეცხრედ მის გადამეტებით მისცა 487 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზაციის გეგმას კი 411 ათასი მანეთით გადაჭარბა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 47 ათასი კუბური მეტრისა დამზადებულია 49 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციები. შრომის ნაყოფიერება 18,9 პროცენტით გაიზარდა. მიღებულია 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

კომუნისტის უმაღლესი მამობრივი მოვალეობა

ჩვენი ქვეყანა ამაყობს თავისი შესანიშნავი ახალგაზრდობით: ყველგან — საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, კულტურულ დაწესებულებებსა და სტუდენტურ რაზმებში ახალგაზრდობა ჩვეულ თოსნობასა და მჩქეფარე ენერგიას იჩენს. ეს ახარებს ახალგაზრდობის უფროს მეგობრებს, კომუნისტებს, რომლებსაც ღრმად სწამთ, რომ მომავალი საიმედო ხელშია.

კომუნისტები ახალგაზრდებს მაგალითს აძლევენ შრომისადმი საუკეთესო დამოკიდებულებაში, კომუნისტური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში, კომუნისტური მორალის ნორმების დაცვაში. ჩვენში ფართოდ ცნობილია კომუნისტების სათავეში ჩაუდგნენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ბრძოლას ექსპლოატატორული წყობილების დამხობისათვის, სოციალიზმისათვის.

კომუნისტური პარტია იყო წამყვანი ძალა, რომელმაც უზრუნველყო სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარება ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ 1945 წლის აპრილში და სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელება უნგრეთში.

განგრძობს რა უნგრეთის კომუნისტური მოძრაობის რევოლუციურ ტრადიციებს, უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ თავისი მებრძოლი შტაბის — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო სოციალიზმის საფუძვლათა აშენება ქვეყანაში და ახლა მტკიცედ მიუძღვის უნგრელ მშრომელებს სოციალისტური მშენებლობის დამთავრების გზით.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ იმას, რომ უნგრელი კომუნისტები თავიანთი ისტორიული გზის ყველა ეტაპზე იბრძოდნენ და იბრძვიან უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ეს მეგობრობა შედუღაბებულია რუსეთში სამოქალაქო ომის ველებზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის დაღვრილი უნგრელი ინტერნაციონალისტებისა და ამ საბჭოთა ჯარისაკაცების სისხლით, რომელნიც ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაეღუპნენ.

დეკემბრის დასასრულს სკკპ ცენტრალური კომიტეტი უნგრელ კომუნისტებსა და მთელ უნგრელ მშრომელ ხალხს უსურვებს ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გეზაკაევიჩან დაბრუნდა

ამა წლის 22 ნოემბერს ბუდაპეშტიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის სხდომებში მონაწილეობდა.

დელეგაციაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი (ხელმძღვანელი), სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ო. კატუშევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ე. ი. კუსკოვი. (საკდესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტარები ეცნობიან საქართველოს

ბერლინიის დემოკრატიული რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია ეცნობა საქართველოს. აჭარად იგი იყო ყვარლის რაიონში. აქ სტუმრებმა დათვალიერეს ილია ჭავჭავაძისა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმები.

დელეგაციის წევრები ეწვივნენ ყვარლის ღვინის ქარხანას. რომელიც ცნობილ ქართულ გემო ტკბილ ღვინოებს უშვებს. ინტერესით დათვალიერეს მათ ფუნდამენტალური მიწისქვეშა ნაგებობა — სუფრის ღვინოების მარანი.

გერმანელი ამხანაგები იყვნენ რუსთავში, სადაც ეწვივნენ მეტალურგიულ ქარხანას. საწარმოს დირექტორმა ს. შარაძენიძემ მათ აცნობა, რომ ქარხანა სსრ კავშირში ფოლადის მილების უდიდესი მწარმოებელია ნავთობის და მინქანთსაშენებელი მრეწველობისათვის.

კვირა დღე სტუმრებმა მიუძღვნეს თბილისისა და მისი ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დარბაზობა გაუმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ამ ჯგუფის თავმჯდომარე როლფ ზიბერი.

24 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტარები ტაშკენტს გაფრინდებიან. (საკდესი).

ჩვენს დიად საამშობლოში

სვერდლოვსკი. ტრესტ „ალტაიცვეტმეტალურგიის“ მშენებლები ჩქარი ტემპით აგებენ მსხვილი ნაგლინის ფაბრიკას. სურათზე: მთავარი კორპუსის დამონტაჟება.

ფოტო ა. ბრახოვისა.

მილოცვა უნგრელ კომუნისტებს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალხთა სახელით მხურვალედ ულოცავს უნგრელ კომუნისტებს, მეძმე უნგრეთის ყველა მშრომელთ სახელოვან იუბილეს, ღირსშესანიშნავ მოვლენას უნგრეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში — უნგრეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

კომუნისტური პარტიის შექმნამ, მისმა დაუცხრომელმა საქმიანობამ, ნათქვამია დეპეშაში, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა უნგრელი ხალხის ისტორიულ ბედზე. ხელმძღვანელობდნენ რა მარქსისა და ლენინის დიადი იდეებით, უნგრელი კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ბრძოლას ექსპლოატატორული წყობილების დამხობისათვის, სოციალიზმისათვის.

კომუნისტური პარტია იყო წამყვანი ძალა, რომელმაც უზრუნველყო სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარება ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ 1945 წლის აპრილში და სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელება უნგრეთში.

ამ ბრძოლაში, ამ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ ომში, ამ ეროვნულ-სოციალურ რევოლუციაში, ამ ბრძოლაში ახალი სოციალისტური ცხოვრებისა, ახალი ადამიანის, ახალი ადამიანური ურთიერთობის, ინტერნაციონალიზმის, ერთიანობისა და ძმობის ნამდვილ ნიადაგზე, ბრძოლაში ეროვნული ინტერესებისა, ეროვნული ტრადიციებისა, ეროვნული ენისა, ეროვნული ფერისა, ეროვნული ხასიათისა, ეროვნული ბედისა — ნატოს იმ პრეტენზიებს, რომ მეურვედ გაუხდეს მათ.

სსრკის მონაწილეებმა გადიდებული ინტერესი გამოიჩინეს მხეთოაშუა ზღვის რაიონისადმი. რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მეთვალყურეთათვის ხელსაყრელი იქნებოდა, შესაძლებლობა რომ მიეცეთ როგორც მათ მოეხურვებათ, ისე იპარპაშონ ევროპის, სხვა კონტინენტების სხვადასხვა ნაწილში, ხმელთაშუა ზღვაში, ახლო აღმოსავლეთში. ამ მოღვაწეებს სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ ამერიკის მე-6 ფლოტის ყოფნა ხმელთაშუა ზღვაში, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებული არიან ამ რაიონს და არა აქვთ მასთან უშუალო ურთიერთობა. მაგრამ საბჭოთა ფლოტის ყოფნა ხმელთაშუა ზღვაში მათ უხერხულად ეჩვენებათ. იგი ბოჭავს მათს აგრესიულ ხრახვებს.

საბჭოთა კავშირი როგორც შავი ზღვის და, მაშასადამე, ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფო ახორციელებს ამ რაიონში ყოფნის თავის უდავო უფლებას. საბჭოთა სამხედრო ხომალდები ხმელთაშუა ზღვაში იმისათვის როდი არიან, რომ საფრთხე შეუქმნან რომელიმე ხალხს ან სახელმწიფოს. მათი ამოცანაა ხელი შეუწყონ სტაბილურობისა და მშვიდობის საქმეს ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

როგორც უნდა აქტიურობდნენ და ნერვიულობდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის გარკვეული წრეები, ხალხები ვერასოდეს ვერ შეურიდებიან მათს მისწრაფებას ხაზი გადაუსვან იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა გასწიეს ევროპაში ომანაშრომლობის მოსაგვარებლად, ამ კონტინენტზე დაძაბულობის შენელების მისაღწევად და სრულიად ევროპის უშიშრობის განსამტკიცებლად. გამალებული შეიარაღება, საომარი სამზადისის გაღვივება ვერ უზრუნველყოფს ევროპისა და საერთაშორისო უშიშროებას. ნატოს ბრიუსელის სესიის გადაწყვეტილებებს საერთო არა აქვს რა ევროპის ხალხების ნამდვილ ინტერესებთან, მტკიცე მშვიდობის ინტერესებთან, როგორც უნდა ინიღბებოდეს ნატოს აგრესიული არსი.

ამას წინათ ბრიუსელში გაიმართა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სხბჭის სესია. სესიას წინ უძღოდა სოციალისტური ქვეყნებისადმი აშკარად მტრული მასირებული კამპანია, რომელსაც წამართავდნენ ნატოს მთელ რიგ მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები და მათი პრობაგანდისტული ორგანოები.

ამ კამპანიას უნდა შექმნა შესაბამისი პოლიტიკური განწყობილება, უწინარეს ყოვლისა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო საქმიანობის აქტივიზაციისათვის მოსამზადებლად იმ საბაბით, რომ უკანასკნელი თვეების მანძილზე ევროპაში შეიეგალა ვითარება ნატოს საზიანოდ. ვითომდა საგანგებო გარემოებათა გამო საბჭოს სესია გამოცხადებულ თარიღზე ერთი თვით ადრე გაიმართა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატოს აგრესიულმა წრეებმა ყველაფერი იღონეს, რომ ბრიუსელის სესიაზე და მის გარშემო შეექმნათ ისეთი ატმოსფერო, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრ ცალკეულ სახელმწიფოთა საღი მიდგომა იმის შეფასებისადმი, რაც ხდება, ხოლო ისინი მზად რომ არ არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად „აძალიერონ საომარი სამზადისი, ეს გამოიწვევდა ბრალდებას „ატლანტიკური სოლიდარობის“ დარღვევაში.

როგორც მოწმობენ ცნობები ნატოს საბჭოს სესიის მიმდინარეობის შესახებ და საბოლოო კომუნიკე, რომელიც სესიის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა, ბრიუსელში ტონის მიმცემი იყვნენ ისინი, ვინც თავის ვარაუდს უკავშირებს დაძაბულობის შენარჩუნებას, ვინც აზროვნებს „ცივი ომის“ კატეგორიებით, ვინც უარყოფს სრულიად ევროპის საფუძველზე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის გზას.

ბრიუსელის სესიამ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია დამატებითი სამხედრო ღონისძიებების განხორციელება ნატოს ფარგლებში და მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების გადიდება. როგორც ყველაფერიდან ჩანს, გადასახადის გადახდელთათვის ჯერ ყველაფერი როდი უთქვამთ იმის შესახებ, რაც ელით, რამდენად მოუჭერენ საგადასახადო ნეხს, რომ გამოწურონ ახალი ასიგნობანი ბრიუსელში დასახული სამხედრო პროგრამების განსახორციელებლად.

როგორ შეიძლება შეუთავსდეს ეს გადაწყვეტილებანი განიარაღების, სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების, სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაშრომლობის განვითარების ამოცანას? როგორც ჩანს, ასეთი საკითხები ყველაზე ნაკლებად აწუხებდათ ნატოს სესიის მომწყობთ. ის, რასაც ისინი განიხილავდნენ, სწორედ იმისაკენ არის მიმართული, რომ ხალხებს არ დაანახვონ საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების დადებითი პერსპექტივა, შთაგონონ, რომ გარდუვალია გამალებული შეიარაღების განგრძობა, უთანხმოებანი და კონფლიქტები.

1969 წლის წინ, როცა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების თვითეულ მონაწილეს კავშირიდან გასვლის იურიდიული უფლება ეძლევა, ნატოს საბჭოს სესია ცდილობს ყველაფერი იღონოს, რომ „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ გაკვეთილი თეზისის გამოყენებით, ნატოს წევრ მთელ რიგ სახელმწიფოებში ჩაახშოს ტენდენცია მეტი დამოუკიდებლობისადმი საკუთარ და საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელებაში.

ნატოს ხელმძღვანელები მზად არიან არსებული რთული საერთაშორისო პრობლემების ღამატებით წარმოშვან ახალი, შესაძლოა, უფრო მწვავე პრობლემები. ამ მიზნით ისინი ცდილობენ თავისებურად განმარტონ საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ოთხმხრივი სამოკავშირეო შეთანხმებანი გერმანიის შესახებ, შეიყვანონ ნატოს „ინტერესების სფეროში“ ახალი სახელმწიფოები, ისე, რომ არც კი იკითხონ მათი აზრი ამის თაობაზე, თავისებურად, თავიანთი აგრესიული პოლიტიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად, განსაზღვრონ საერთაშორისო წესების სტატუსი.

როცა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი ისის ყო იქნებოდა, საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა, რომ ეს ბლოკი გახდებოდა ძლიერი, იმპერიალისტური სახელმწიფოებისადმი სუსტ სახელმწიფოთა დაქვემდებარების ინსტრუმენტი, რომ ამ კავშირის არსებობის აზრია ბრძოლა დემოკრატიულ, განმათავისუფლებელ და ანტიკოლონიურ მოძრაობათა წინააღმდეგ. ამას შემდეგ განვლილმა თითქმის ორმა ათეულმა წელმა სავსებით დაადასტურა ამ შეფასების სამართლიანობა.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკმა არაერთი კრიზისი გამოიწვია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ასეულ მილიარდობით დოლარი, ვიეტნამ სტერლინგი, დასავლეთგერმანული მარკა მოსმარდა ომისათვის მზადებას ნაცვლად იმისა, რომ მოხმარებოდა ხალხთა კეთილდღეობას, საარსებო ეკონომიური და სოციალური პრობლემების გადაჭრას, რითაც დაინტერესებულია მთელი კაცობრიობა.

ბრიუსელის სესიის შედეგები, მის მონაწილეთა განცხადებანი იმის შესახებ, რომ ნატოს შეუძლია გაავრცელოს თავისი მოქმედების სფერო იმ სახელმწიფოებზეც, რომლებიც ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილენი არ არიან, კვლავ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს, რომ ეს სამხედრო ბლოკი სახელმწიფოთა აგრესიული, იმპერიალისტური კოალიციაა. ამ სხვისი ინტერესებისათვის თვითმარქვია მზრუნველებს ახალი არაფერი არ აღმოუჩენია. ისინი მიმართავენ ძველ, თავიდან ბოლომდე ყალბ ხერხს, რომელიც არაერთხელ გამოიყენეს იმათ, ვინც ხელყოფდა ხალხთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას—კოლონიური ომების ორგანიზატორებით დაწყებული და ჰიტლერული აგრესორებით დამთავრებული. დამახასიათებელია, რომ ის მთავრობები, რომლებისთვისაც ძვირფასია თავიანთი ქვეყნების უშიშრობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ინტერესები, უარყოფენ — და არაორმოფული სიტყვებით — ნატოს ბლოკის ხელშეკრულების ბოლოს ბრიუსელში ბრიტანეთ-ამერიკის ბლოკის ბაზის ფორმა ეძლევა, ნატოს ბაზის სესია ცდილობს ყველაფერი იღონოს, რომ, „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ გაკვეთილი თეზისის გამოყენებით, ნატოს წევრ მთელ რიგ სახელმწიფოებში ჩაახშოს ტენდენცია მეტი დამოუკიდებლობისადმი საკუთარ და საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელებაში.

ნატოს ხელმძღვანელები მზად არიან არსებული რთული საერთაშორისო პრობლემების ღამატებით წარმოშვან ახალი, შესაძლოა, უფრო მწვავე პრობლემები. ამ მიზნით ისინი ცდილობენ თავისებურად განმარტონ საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ოთხმხრივი სამოკავშირეო შეთანხმებანი გერმანიის შესახებ, შეიყვანონ ნატოს „ინტერესების სფეროში“ ახალი სახელმწიფოები, ისე, რომ არც კი იკითხონ მათი აზრი ამის თაობაზე, თავისებურად, თავიანთი აგრესიული პოლიტიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად, განსაზღვრონ საერთაშორისო წესების სტატუსი.

ბრიუსელის სესიამ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია დამატებითი სამხედრო ღონისძიებების განხორციელება ნატოს ფარგლებში და მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების გადიდება. როგორც ყველაფერიდან ჩანს, გადასახადის გადამხდელთათვის ჯერ ყველაფერი როდი უთქვამთ იმის შესახებ, რაც ელით, რამდენად მოუჭერენ საგადასახადო ნეხს, რომ გამოწურონ ახალი ასიგნობანი ბრიუსელში დასახული სამხედრო პროგრამების განსახორციელებლად.

ნატოს ხელმძღვანელები ამ ბოლო ხანებში ცდილობენ ინიციატივა ჩაბარონ ევროპის ხალხებს, ეჩვენებინონ, ეს ხალხები ვერ ბედავენ ამ ინიციატივის ჩაბარებას, ეს ხალხები ეშინიან ომის, ეშინიან ომის ინიციატორებისა, ეშინიან ომის ინიციატორებისა, ეშინიან ომის ინიციატორებისა

მსოფლიოს დეკანოზთა საკავენტოები იუწყებიან

საეკლესიო ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსულოვანი მოწონება

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო და ცხინვალის საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულ პლენუმზე

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წინაშე, ისევე როგორც მთელი საქართველოს მშრომელთა წინაშე დიდი ამოცანები დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა. სწორედ ამ ამოცანების ირგვლივ გაიმართა ფართო მსჯელობა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო და ცხინვალის საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულ პლენუმზე.

მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი და კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ოქტომბრის პლენუმის შედეგები ბრწყინვალე დადასტურებაა იმისა, თუ რა განუხრელად ახორციელებს ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, სამხრეთ ოსეთის მიწათმოქმედების მუშაკებმა და მეცხოველეებმა უკანასკნელ წლებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. 1965-1967 წლებში საგრძნობლად გაიზარდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის საერთო მოცულობა. წელს წინა წლებთან შედარებით ხილის მოსავალიანობა ერთისსამად, ხოლო მაქრის ჭარხლისა თითქმის ერთიორად გაიზარდა. სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალებანი.

პლენუმზე დასახელეს მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც უნარიანად იყენებენ წარმოების რეზერვებს, ყოველწლიურად ზრდიან ხორცხილის, ხილის, ყურძნის, ბოსტნეულის მოსავლიანობას, პირუტყვის პროდუქტიულობას. ასეთ მეურნეობათა შორის არიან ცხინვალის რაიონის სოფლების კეხვისა და დმენისის, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის, ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობები.

პარტიის ცხინვალის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა ზ. თედეევმა და გ. თადტაევმა, პარტიის ჯავის რაიკომის პირველმა მდივანმა უ. ხანიკაევმა, ლენინგორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. დურგლიშვილმა აღნიშნეს, რომ ეს წარმატებანი გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამგეობები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის ორგანოები უფრო მიზანსწრაფულად რომ ახორციელებდნენ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის, მელიორაციისა და მექანიზაციის ღონისძიებათა კომპლექსს.

მაგალითად პლენუმზე დასახელეს ჯავისა და ლენინგორის საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე ოლქის რამდენიმე კოლმეურნეობა, სადაც მეტად დაბალია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე. მაშინ როცა მათი მეზობელი მეურნეობები ერთნაირ პირობებში ორ-სამჯერ მეტ პროდუქციას აწარმოებენ.

პლენუმის მონაწილენი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საჭიროა უახლოეს წლებში სულ ცოტა 30-40 პროცენტით გადიდდეს მარცვლეულის მოსავლიანობა, ერთიორად გაიზარდოს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება სამშობლოს ინტერესები მოითხოვს მივიღოთ უფრო მეტი ხილი, მაქრის ჭარხალი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალი. ამ მიზნით აუცილებელია თესლბრუნვის დროულად ათვისება, ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულის, კარტოფილის მაღალმოსავლიანი ჯიშების წარმოებაში დანერგვა, ორგანული და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენება.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. ორატორმა — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ქოზაევმა, საოლქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ გ. ძაგოევმა და ზნაურელმა მექანიზატორმა ა. გაგნიძემ აღნიშნეს, რომ სამხრეთ ოსეთში საკმაოდ არის ალპური და სუბალპური მდელოები და სათიბები, მაგრამ ამ დიდ რეზერვს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ. ნაკლები ყურადღება ექცევა ჯავისა და ლენინგორის რაიონების მთიანი ზონის მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

პლენუმის მონაწილენი მოითხოვდნენ მეტი ყურადღება დაეთმოს ჯიშიანი პროდუქტიული პირუტყვის მომრავლებას, მისი სუქების ორგანიზაციას, სერიოზული ღონისძიებები განხორციელდეს შემოსავლიანი დარგის— მეცხვარეობის განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დააკისრეს პარტიის სასოფლო რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სოფლად მომუშავე ყველა კომუნისტს. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი უნდა იზრუნონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების, განსაკუთრებით კი საშუალო რგოლის კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე.

პლენუმმა მოსთხოვა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს ფართოდ გაშალონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმა ახსნა-განმარტება.

ოქტის კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

პლენუმის მონაწილეებმა ასევე ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობა.

პლენუმმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ოქტის კომუნისტები, უველა მშრომელნი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელონ სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, ვადამდე შესასრულონ ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები.

ი. თედიაშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის 45 წლისთავი

საზეიმო სხდომა თბილისში

ამიერკავკასიის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის პირველ მსმენელებსა და მასწავლებლებს სამუდამოდ დაასხომდათ 1923 წლის 7 ნოემბრის დღე. ამ დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა უნივერსიტეტი, რომელიც ამიერკავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა კადრების შესანაბისა სამეგდო გახდა. მისმა აღზრდილებმა, როგორც კომუნიზმის პრინციპებისათვის იდეურმა პოლიტიკურმა მებრძოლებმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სოციალისტურ მშენებლობაში. მთელ პარტიასთან ერთად ისინი რაზმავდნენ ხალხს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და დიდი სამამულო ომის წლებში გამარჯვების მოსაპოვებლად. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი დღესაც თავდადებით ემსახურებიან კომუნისტურ პარტიას, ხალხს, კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში არიან.

...45 წელი გავიდა. და აი დღეს, ამიერკავკასიის 26 კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის უკვე ბებერა კურსდამთავრებულნი და მასწავლებლები შეიკრიბნენ თბილისში თავიანთ მეოთხე ტრადიციულ შეხვედრაზე.

ეს შეხვედრა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

შეხვედრის მონაწილენი 23 ნოემბერს შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში თავიანთ საზეიმო სხდომაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა შეხვედრის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგემ ი. შრეშელაძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ა. კარანაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება სხდომის მონაწილეებისადმი.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება წაიკითხა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დირექტორმა დ. გულიევმა.

დოცენტმა ა. ეგიაზარიანმა, რომელიც ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი იყო, წაიკითხა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

რესპუბლიკის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით შეკრებილთ მიესალმა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ბაბრაკელი. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის აღზრდილნი, — თქვა მან, — ინტერნაციონალისტურ ტრადიციათა ესტაფეტას გადასცემენ კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობას. ისინი მაღლა ატარებენ ჩვენი პარტიის ლენინურ დროშას, მთელ ძალღონეს ახმარენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის შექმნის ისტორიისა და საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ნ. მახარაძემ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დიდი დამსახურება ის იყო, რომ შეძლო პირნათლად შეესრულებინა პარტიის მიერ დასახული ამოცანა — მოემზადებინა პარტიული და საბჭოთა კადრები და აღეზარდა ისინი ლენინური პარტიის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ნამდვილი ინტერნაციონალიზმის, ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

სხდომაზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორი პროფესორი დ. მგელაძე, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ა. ყულიმში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. აბრამიანი. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ დიდ ინტერნაციონალურ ოჯახში დაძაბული სწავლის, თავდადებული შრომის წლები იყო არა მარტო თეორიული ზრდის, არამედ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის დიდი პრაქტიკული მუშაობის წლებიც.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილენი გაემართნენ ლენინის მოედნისაკენ, სადაც გვირგვინით შეამკეს ვლადიმერ ილიას-ძის ძეგლის კვარცხლბეკი. მათ გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა საფლავები. (საქდისი).

მსოფლიოს დეკანოზთა საკავენტოებიდან

პროვოკაციული აქტები გრძელდება

პარიზი, 23 ნოემბერი. (საქდისი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გადაჭრით დაგმო შეერთებული შტატები, რომელმაც 16, 17, 20 და 21 ნოემბერს ცეცხლი დაუშინა დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილს. განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „ნიან ზანმა“ გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს ვინშონის, ვინკუანგისა და ვიზიანგის თემებს დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. ცეცხლის დაშენაში მონაწილეობდნენ ამერიკის სამხედრო ხომალდებიც.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ „ეს ამერიკის შეერთებული შტატების უკიდურესი თავხედური პროვოკაციული მოქმედებაა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშროების უხეში ხელყოფა. ეს იმის ახალი დადასტურებაა, რომ შეერთებული შტატების იმპერიალისტებს ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი თავიანთ აგრესიულ ზრახვებზე ვიეტნამში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ზემოაღნიშნული საომარი აქტები, მას უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა თავისი აგრესიული მოქმედების შედეგებისათვის“.

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საქდისი). როგორც საიგონიდან იუწყებიან, გუშინ ამერიკის არტილერიამ კვლავ დაუშინა ცეცხლი დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის განცხადება პარიზში

ამერიკის შეერთებული შტატები თავს უყრის ამერიკის მე-7 ფლოტის სამხედრო-საზღვაო ძალებს ქვეყნის დასახლებულ რაიონებზე, მათ შორის საიგონის მიდამოებზე თავდასხმისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები განაგრძობენ ადგილის დაჩხრეკის ოპერაციებს, ანადგურებენ დიდ ტერიტორიებს, სპობენ მოსავალსა და საცხოვრებელ სახლებს, ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ნგუენ თხან ლემ თქვა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის შეწყვეტა კი გადაწყვიტეს, მაგრამ ამერიკელ აგრესორებს ხელი არ აუღიათ პროვოკაციულ აქტებზე. მარტო ნოემბრის პირველ ნახევარში ამერიკის ავიაციამ მოაწყო 140 ჯაშუშური სადაზვერვო ფრენა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 23 პროვინციასა და ქალაქში. ამავე პერიოდში ჰანოის საჰაერო სივრცე დაარღვია ექვსჯერ, ჰაიფონისა კი 18-ჯერ. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მებრძოლთა და მოსახლეობის ძალებმა, თქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ჩამოაგდეს 4 მეკობრე თვითმფრინავი.

მაგრამ, რაც უფრო მეტად მოითხოვენ ამერიკელი იმპერიალისტები ომის გაძლიერებას, მით უფრო იზრდება ვიეტნამელი ხალხის სიფხიზლე, მისი მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლოს და დაამარცხოს აგრესორები, ხაზგასმით აღნიშნა ნგუენ თხან ლემ.

უპასუხა რა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე, მან თქვა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მზად არის დღესვე დაიწყოს მოლაპარაკება ვიეტნამის შესახებ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის ხელისუფალთა მონაწილეობით. თუ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული მთავრობა უარს იტყვის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, ხაზი გაუსვა ნგუენ თხან ლემ, მზად არის დაიწყოს სამმხრივი მოლაპარაკება.

კენტაგონის გეგმები

ვაშინგტონი, 23 ნოემბერი. (საქდისი). როგორც გაზეთი „ბალტიმორ სანი“, წერს, პენტაგონი 12 ათას ჯარისკაცს გაგზავნის დასავლეთ გერმანიაში მომავალი წლის იანვარ-თებერვალში. ამერიკის ჯარები მონაწილეობას მიიღებენ მანევრებში, რომელთა მიზანია ცხადყონ, რომ ნატოს ჯარი შესწევს გაადოლოს თავის მოუფაროს თავის შეიარაღებულ ძალებს ევროპაში, „თუ შეიქმნება საგანგებო გარემოება“.

პენტაგონის გეგმა ითვალისწინებს ავრეთვე ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენების „ფ-4 ფანტომის“ ოთხი ესკადრილიის გაგზავნას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბაზებში.

ნაცისტების კვალზე

ბონი, 22 ნოემბერი. (საქდისი). ნეონაციონალური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ უფრო აშკარად გადადის ტერორისა და დასავლეთგერმანელი დემოკრატების, ებათა დანიების მეთოდებზე, ვინც იბრძვის ქვეყანაში მიხაკისფერი საფრთხის წინააღმდეგ. ამ დღეებში ადგილობრივი ხელისუფალნი იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ ახლად შექმნილი გერმანიის კომუნისტური პარტიის ბონის ბიუროს შენობაზე შეიარაღებული თავდასხმა მოახდინა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ჰენსტმა. ეს ფაშისტი არამზადა შედიოდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთ სპეციალურ „დაცვის რაზმებში“.

მიუნხენის პროგრესული ორგანიზაციის — დემოკრატიული აქციის ბევრ თვალსაჩინო ხელმძღვანელს, რომლებიც იბრძვიან ნეოფაშიზმის წინააღმდეგ, წერს გაზეთი „ბლინდფიური“, „სიკვდილით ემუქრებიან“. „სიკვდილით დაემუქრნენ — აცხადებს გაზეთი,—პუბლიცისტებს ფრანც არნაუს, ბერნტ ენგელმანსა და კურტ ჰირშს, ავრეთვე ბავარიის მელოთნოლთა პროფკავშირის თავმჯდომარეს ერვინ ეცლს“. „ისევე როგორც 1933 წლის წინ, — ხაზს უსვამს „ბლინდფიური“, — ასეთი ტერორისტული აქტებით ცდილობენ დაშინონ ქვეყნის დემოკრატები და სოციალისტები“.

მიხაკისფერი ობობა...

ნახ. ჟურნალ „პოლსკოე ობოზრენიიდან“.

ლენინიზმის კურსით

უნგრეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი

ორმოცდაათი წლის წინათ უნგრეთში მოხდა ამბავი, რომელიც უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის მთელ შემდგომ ისტორიაში.

...1918 წლის 24 ნოემბერს სალომოს ბუდაპეშტელი ინჟინერ-სოციალისტის იოზეფ კელენის ბინაზე ვაროშმაიორის ქუჩის № 42 სახლში 40-მდე კაცი შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ ავსტრიაუნგრეთის არმიის ყოფილი სამხედრო ტყვე რუსეთში, რკკ (ბ) არსებული უნგრეთის ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბელა კუნი, ანტიმილიტარისტ-იატაკქვეშელი იმრე შალაი, რევოლუციონერი დიულა ალპარი, რომელიც გარიცხული იყო უნგრეთის ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, და სხვები. რამდენიმე საათის შემდეგ შეიკვეთრის მონაწილენი, კონსპირაციის ყველა წესის დაცვით, ცალცალკე ან პატარა ჯგუფებად დაიშალნენ. ყველა ისინი უკვე ახლადშექმნილი უნგრეთის კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ.

ევროპაში ერთ-ერთი პირველი ახალგაზრდა კომპარტიის რიგებში იწყებს შესვლა უნგრეთის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებმა. ლენინურმა იდეებმა, რომლებსაც პროპაგანდას უწევდნენ უნგრელი კომუნისტები, სწრაფად მოიპოვა მშრომელთა სიმპათიები. მუშათა შორის განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბელა კუნი, რომლის შესახებ იცოდნენ, რომ იგი ლენინს პირადად იცნობდა.

უნგრეთის კომპარტიის შექმნის ოთხი თვის შემდეგ, 1919 წლის 21 მარტს, უნგრელმა მშრომელებმა კომუნისტების თავკაცობით რუსი ძმების მაგალითისამებრ ძალაუფლება თავიანთ ხელში აიღეს და უნგრეთში საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს. ჩეკელისა და დიოშდიორის ქარხნების მუშები, შომოდიოს და ბეკეშის გლეხები ენთუზიაზმით შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის მისალმებას, რომლითაც მან უნგრელ მუშებს მიმართა.

133 დღის განუწყვეტელი გმირული ბრძოლის შემდეგ უნგრეთის კომუნა დაეცა ანტანტის მიერ წაქეზებული ინტერვენტების მძლავრი შემოტევის გამო. იმ დროსათვის აშკარა იყო ძალთა უთანასწორობა, მიუხედავად ამისა, მშრომელთა გულში კვლავ ცოცხლობდა ამ ქვეყნის ისტორიაში პირველი სახალხო რესპუბლიკის ხსოვნა.

შემდგომი 25 წლის მანძილზე უნგრეთში ფაშისტური ტერორი მძვინვარებდა. მაგრამ კომპარტია, რომელიც ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა, არსებობასა და მოქმედებას განაგრძობდა. კომუნისტები ხალხს ასწავლიდნენ პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, მათ მიაჩნდათ, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განუყოფელია, წმიდად ინახავდნენ რაკოფების მასშტაბს. იტალიაში შექმნილი რეალური ვითარების ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ ახლა იგი უშუალო გავლენას ახდენს ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაზეც, ავლენს ღრმა წინააღმდეგობებს მის მმართველ ჯგუფში“.

პ. ინგრაომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შექმნილ პირობებში იტალიის მეშარეხენე ძალებს ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა, და მათ შეუძლიათ შეასრულონ გადამწყვეტი როლი.

ბოლიტიკური კრიზისი იტალიაში

რომი, 22 ნოემბერი. (საქდისის კორესპონდენტი ი. ლომატინი გვატყობინებს):

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯ. სარაგატი უაღრესად მძიმე და გაურკვეველ პოლიტიკურ ვითარებაში იწყებს კონსულტაციებს ახალი მთავრობის შესადგენად. თავდაპირველად ჯ. ლეონეს მთავრობის გადადგომამ, შემდეგ კი მმართველი ქრისტიანულ - დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობისა და მისი პოლიტიკური მდივნის მ. რუმორის გადადგომამ ცხადყვეს, რამდენად სერიოზულია პოლიტიკური კრიზისი, რომელშიც იტალიის მმართველი ჩაფლულა ზედაფენა აღმოჩნდა.

ეს არის საბოლოო ეტაპი იმ საერთო კრიზისისა, რომელიც თავს დაატყდა იტალიის მმართველ წრეებს და რომელიც უკვე დიდი ხანია მწიფდებოდა, და ნათლად იჩინა თავი პარლამენტის არჩევნებში ამა წლის მაისში. არჩევნები დამთავრდა მთავრობის კოალიციის „მეშარეხენე ცენტრის“ დიდი დამარცხებით. ამ კოალიციაში შედიოდნენ ქრისტიანი დემოკრატები, სოციალისტები და რესპუბლიკელები. განსაკუთრებით საგრძნობი ლახვარი ჩაეცათ სოციალისტებს, რომლებმაც ამომრჩეველთა მილიონნახევარი ხმა დაკარგეს.

„ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მდივნისა და ხელმძღვანელობის გადადგომა, — განაცხადა იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა პ. ინგრაომ, თვალნათლივ ადასტურებს ხალხთა მასების ბრძოლისა და მთელი საზოგადოების ძირეული გარდაქმნისადმი მისწრაფების მასშტაბს. იტალიაში შექმნილი რეალური ვითარების ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ ახლა იგი უშუალო გავლენას ახდენს ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაზეც, ავლენს ღრმა წინააღმდეგობებს მის მმართველ ჯგუფში“.

პ. ინგრაომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შექმნილ პირობებში იტალიის მეშარეხენე ძალებს ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა, და მათ შეუძლიათ შეასრულონ გადამწყვეტი როლი.

მდგომარეობა მალიში

ბამაკო, 22 ნოემბერი. (საქდისი). მალის დედაქალაქში, სადაც 19 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, საქმიანი ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. დღეს მუშაობა განაახლა ბამაკოს ბევრმა მაღაზიამ და დაწესებულებამ. გადატრიალების შემდეგ პირველად გამოვიდა გაზეთი „ესორი“ და მალის ანმის საინფორმაციო სააგენტოს ბიულეტენი,

მალის რადიო იუწყება, რომ აქ გამართულ ეროვნული განთავისუფლების სამხედრო კომიტეტის სხდომაზე ეროვნული განთავისუფლების სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კაპიტან იორო დიაკიტეს დაევალა რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნა და რომ უახლოეს დროში გამოქვეყნდება მთავრობის შემადგენლობა.

აქ ცნობილი გახდა, რომ ეროვნული განთავისუფლების სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ ლეიტენანტმა მუსა ტროორემ გუშინ მიიღო მთელი რიგი საზღვარგარეთის სახელმწიფოების, მათ შორის სსრ კავშირისა და ალჟირის დიპლომატიური წარმომადგენლები.

როგორც ანმის სააგენტოს ბიულეტენი იუწყება, ალჟირის ელჩთან საუბარში მალის საბჭოდრო კომიტეტის მეთაურმა დაასახელა „სახელმწიფო გადატრიალების მიზეზები და დასძინა, რომ მალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ალჟირთან ურთიერთობას“.

ადრე მალის რადიომ გამოაცხადა, რომ მალი ადასტურებს თავის ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი და აფრიკის ერთობის ორგანიზაციისადმი, აგრეთვე გადაწყვეტილი აქვს კვლავ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა ჰქონდეს მდინარე სენეგალის აუზში განლაგებულ სახელმწიფოებთან.

თუ ანმის სააგენტოს ცნობით ეიმსწელეთ, ეროვნული განთავისუფლების სამხედრო კომიტეტს ჯერ კიდევ არ მიუცია თანხმობა მდინარე სენეგალის აუზის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრაში მონაწილეობაზე, რომელიც გვინეის პრეზიდენტის სეკუ ტურეს ინიციატივითაა მოწვეული კონაკრიში.

ვოგზაურობა ფოტოაპარატით



● **პაკისტანის** მაღალმთიან რაიონში ინდოეთსა და ჩინეთს შუა მდებარეობს ბუტანის ფეოდალური სამთავრო. 1949 წლიდან ბუტანი ინდოეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. ბუტანელთა ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობა. ისინი თესავენ ბრინჯს, ხორბალს, ქერს და მისდევენ მომთაბარე მეცხოველეობას.

სურათზე: ბუტანელ გლეხთა ზეიმზე.

(საქდისის ფოტოქრონიკა)

■ ■ ■

● **სამხრეთ** იემენის სახალხო რესპუბლიკა. ერთ-ერთი სამხრეთარაბული ტომის დღესასწაული. (მარცხნივ).

(საქდისის ფოტოქრონიკა)

დიდი სახალხო პოეტი

საქართველოს მომიჯნავე ყაზახის მაღლიანმა მიწა-წყალმა მრავალი სასიქადულო შვილი შემატა სამშობლოს. მათ შორის შუქურ ვარსკვლავად კაშკაშებს მაღალმხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი მოლა ფანაჯ ვაგიფი. ოსტატი, რომელმაც უფრო მდიდარი, მომხიბლელი და ძარღვმაგარი გახადა აზერბაიჯანული პოეზია. ვაგიფმა მთელი ახალი ხანა შექმნა აზერბაიჯანულ პოეზიაში. იგი არის რეალიზმის ფუძემდებელი აზერბაიჯანულ ლიტერატურაში და, შეიძლება ითქვას პოეტური ენის რეფორმატორი.

ვაგიფმა ტრადიციული მაღალფარდოვანი, სპარსულ-არაბული ლექსიკით გადატვირთული აზერბაიჯანული ენა პოეზიისა სადა, მოხდენილ და ხალხისათვის გასაგებ ენად გადაიქცია. დაუახლოვა ხალხის სასაუბრო ენას, ხალხისა, სადაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადადგმული თვით ვაგიფს — გლეხის შვილს.

დაიბადა იგი 1717 წელს ყაზახის რაიონში მდებარე სოფელ სალაპლიში. სწავლობდა მედრესეში. თავიდანვე ისე ხარბად დაეწაფა სწავლა-განათლებას, რომ შემდგომში მისი დიდი სწავლულობა საქვეყნოდ გახდა ცნობილი და ხალხში ანდაზად შემორჩა: ყველა, ვინც სწავლობს, მოლა ფანაჯი ვერ იქნებაო. პოეტის დიდ განათლებაზე მიუთითებს მისი ფსევდონიმი „ვაგიფი", რაც მცოდნეს ნიშნავს.

მშობლმა ხალხმა გულით შეიყვარა პოეტი. არც ვაგიფი აკლებდა მას სიყვარულსა და ზრუნვას. მოლა ფანაჯმა ჯერ კიდევ თავის სოფელში დაიარსა მექთები (სასწავლებელი) და გულმოდგინედ მიჰყო ხელი აზერბაიჯანული ბაგშვების სწავლა-განათლების საქმეს. ამიტომ უწოდეს მას მოლა, რაც მასწავლებლის, ხოჯის სინონიმსაც წარმოადგენდა.

ვაგიფის დროინდელი აზერბაიჯანი მრავალ სახანოდ იყო დანაწევრებული, ხანები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ერთმანეთს, რაც იწვევდა ოჯახებისა და ზოგჯერ მთელი სოფლების აყრა-გადასახლებას. 1759 წელს ვაგიფის ოჯახიც გადასახლდა ყარაბაღის მძლავრ სახანოში, რომლის დედაქალაქს წარმოადგენდა ახლადდაარსებული (1750 წ.) ქალაქი შუშა. ვაგიფი ქალაქ თერთერბასარში დასახლდა, სადაც გახსნა სასწავლებელი და დაიწყო მასწავლებლობა. ცხოვრობდა ხელმოკლედ, გაჭირვებაში. ფიქრობენ ამ ხანას განეკუთვნება მისი ცნობილი ლექსი „ბაირამი", რომელშიც პოეტი ჩივის თავის სიღარიბეზე:

ბაირამია და არ ვიცი რა ვქნა,
რა ვუყო, —
სავსე ტოპრაკი სახლში წამლად
არსად არ არი;
შინ გამქრალია ბრინჯისა და
ერბოს ხსენება,
ხორცი კი არა, ყველიც არსად,
არსად არ არი.

შემდეგ ვაგიფი საცხოვრებლად ქ. შუშაში გადადის. მან იქაც გახსნა სასწავლებელი და კვლავ მასწავლებლობას მიჰყო ხელი. მაგრამ მომხიბვლელი პოეზიითა და განსწავლულობით უკვე საქვეყნოდ ცნობილმა ყარაბაღის მბრძანებლის — იბრაჰიმ ხანის ყურადღებაც მიიქცია. 1769 წელს ხანმა ვაგიფი თავისთან მიიწვია, და ამ დროიდან მოყოლებული პოეტი მისი განუყრელი მრჩეველი — ჯერ კარის გამრიგე და შემდეგ მთავარი ვეზირია. ვაგიფმა აქაც გამოიჩინა თავი როგორც ბრძენმა და შორსმჭვრეტელმა მოღვაწემ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიშალა ახლადდაარსებული ქალაქის დიდი მშენებლობა, აიგო მრავალი ღირსშესანიშნავი ნაგებობა, სასახლეები, ციხე-კოშკები, საცხოვრებელი სახლები, ქალაქის გალავანი და სხვ. ძველი თეზქერების თანახმად ვაგიფს მშენებლობის საქმეშიც დიდი ნიჭი და უნარი გამოუჩენია. მაგრამ ვაგიფის ძირითად მოვალეობად სახანოს საგარეო საქმეების მოწესრიგება წარმოადგენდა. იგი ამ მხრივაც დაუღლელად და გონივრულად იღვწოდა. მისი ცდითა და მონაწილეობით დამყარდა მეგობრული კავშირი ყარაბაღის სახანოსა და აღმოსავლეთ საქართველოს — მეფე ერეკლეს სამეფოს შორის. ვაგიფის ინიციატივითვე გაიბმა პოლიტიკური კავშირი ყარაბაღის სახანომ რუსეთთან. პოეტის მეგზურობით ყარაბაღში „აუგია რუსეთის საელჩოს შენობა, რისთვისაც რუსეთის დედოფალს ეკატერინე მეორეს იბრაჰიმ ხანისთვის ძვირფასეულობა, ხოლო ვაგიფისათვის ფერადი თვლებით მოჭედილი კვერთხი უბოძებია.

საქართველოს და აზერბაიჯანის სახანოების რუსეთთან დაახლოებით გაბოროტებული ირანის შაჰი აღა-მაჰმად ხან ყაჯარი 85-ათასიანი ლაშქრით შემოესია კავკასიას. მან ჯერ ყარაბაღის სახანოზე გაილაშქრა, ალყა შემოარტყა ქალაქ შუშას, მაგრამ კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქის აღება ვერ შეძლო. ისტორიკოსების გადმოცემით ციხე-ქალაქის გამაგრებას უკვე ხანში შესული, მაგრამ იარაღასხმული მთავარი ვეზირი ვაგიფი ხელმძღვანელობდა. ვაგიფის ერთერთმა თანამებრძოლმა ერი საინტერესო ეპიზოდი შემოგვინახა: აღა-მაჰმად ხანმა დაშინების მიზნით იბრაჰიმ ხანს შემდეგი ორაზროვანი ყასიდა გაუგზავნა:

ზეციდან უბედურების ქვები
გაწვიმს,
შენ კი სულელურად შუშაში
ხარ გამაგრებული.

ვაგიფს აღა-მაჰმად ხანისთვის პასუხი სპარსულადვე გაულექსავს:

ჩემი მცველი თუ ის არის, რაც
მე ვიცი,
შუშას თავის ქვის კალთაში
უვნებლად დაიცავს.

ამ პასუხს აღა-მაჰმად ხანი სასტიკად განურისხებია. მაგრამ მან ქალაქის აღება მაინც ვერ შეძლო. 1797 წელს იგი მეორედ შეესია ყარაბაღს. დამფრთხალი იბრაჰიმ ხანი თავისი ოჯახით გაიხიზნა ქალაქიდან. ვაგიფი კი ქალაქთან ერთად მტერმა ჩაიგდო ხელში და სიკვდილი არ ასცდებოდა, რომ უნებლიე მხსნელად აღა-მაჰმად ხანის მკვლელი მონა არ მოყლინებოდა: ვაგიფის სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანამდე აღა-მაჰმად ხანი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამჯერად გადარჩა დიდი ვეზირი და პოეტი, მაგრამ დიდხანს სიცოცხლე მაინც არ ეწერა. 1797 წელსვე იგი სიკვდილით დასაჯა იბრაჰიმ ხანის ძმისწულმა მაჰამედ ბეგმა, რომელმაც ბიძის ძალაუფლება მიიტაცა და მისი მომხრეები გაანადგურა.

შემაძრწუნებელი სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე დიდმა ლირიკოსმა. ახალი ხანის ბრძანებით ვაგიფი და მისი ერთადერთი ვაჟიშვილი, პოეტი აღა-ბეგი, მაღალი კლდიდან უფსკრულში გადაისროლეს. ასე დასრულდა ბრწყინვალე მმართველისა და პოეტის დაუდგრომელი სიცოცხლე.

ვაგიფმა მდიდარი და მრავალფეროვანი ლირიკით აზერბაიჯანულ ლიტერატურაში დაიმკვიდრა კლასიკოსის სახელი. იგი აღიარებულია სპარსული პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლებული ახალი აზერბაიჯანული პოეზიის ფუძემდებლად. მან პირველმა შეიტანა აზერბაიჯანულ პოეზიაში რეალიზმის ელემენტები, პოეზია ხალხს დაუახლოვა. წერდა ჯობრებს, ღაზელებს, მუხამმაზებს, მუსტაზადებს, თეჯნისებს. შესანიშნავად იცნობდა აღმოსავლურ კლასიკურ პოეზიას, საუკეთესოდ ფლობდა აღმოსავლური ლექსთწყობის ურთულეს სახეებს და წარმატებითაც იყენებდა მათ პოეზიაში, მაგრამ მის შემოქმედებაში ძირითადი მაინც ყოფილა. ვაგიფმა ლექსის ეს ხალხური პოეტური ფორმა ეაბატონა აზერბაიჯანულ პოეზიაში. ხალხურ პოეზიაზე ფეხადგმული პოეტი კარგად იცნობდა და ჭრიდნობდა ხალხურ, აშუღურ პოეზიას. აქედან მოდის მისი პოეზიის ხალხურობა და დიდი პოპულარობა.

ვაგიფის ლირიკის ძირითადი თემა სიყვარულია. მან აზერბაიჯანულ პოეზიაში გაბატონებული ტრადიციების საწინააღმდეგოდ უმღერა ამქვეყნიურ, რეალურ მიწიერ სიყვარულს და უფრო მეტიც — იგი სატრფოს ადარებს მუსლიმანთა წმიდათა-წმიდა ადგილებს: ქაბაას, მექას, მედინას. პოეტი მთელი გატაცებით უმღერის სატრფოს, რომლის ეშხი დიდხანია ცეცხლს უკიდებს.

ტანაურილია, როგორც ალვა ანუ
ჩინარი,
შემყარა სევდა საჩინარი და
უჩინარი;
თვალით ვანიშნებ, — გამგებენა,
ჭკუით მჩინარი.

მას ტანჯავს ტანკენარი სატრფოს სიშორე და წერილს, რომლებიც ბაღდადიდან მოფრინდნენ, ასე მიმართავს:

მოგწყდი სატრფოს,
დატვირთული შავ წამებით,
პეპელა ვარ — იმას ვეძებ
გაწამებით,
იქნებ ნახეთ იქ შავთვალას
წამწამები —
თქვენი გაშლილი ფრთების
სიგრძე, წეროებო!

შემიყვარდა თაფლისფერი
თვალთა ალი,
მეშინია მათ არ ეცეს ავი თვალი.

მაგრამ მიჯნურთან ახლოს მყოფიც კიდევ მეტს სიახლოვეს მოითხოვს, მხოლოდ შორით ხილვა არ აკმაყოფილებს:

თუკი გიყვარვარ, მოვეხვიოთ,
მოდი, ერთმანეთს,
ფარული მზერა ანდა შორით
ნახვა რა არი?
არ გიყვარვარ და ან გამცილდი,
წადი, ღმერთმანი,
ან ჩემი სულის ეგრე ცეცხლით
დალვრა რა არი?

ანდა:

მსურს ავეწნოთ შენი მკერდის
სილამაზით,
შევსვათ ტკბილი თაფლის ღვარი
— შენთან ერთად.
როს ვხედავდე შენს თვალებში
სიხალისეს,
წამწამები ჰგავდეს შავი ბროლის
ისრებს,
მტერს გავგმირავ, თუ მეტოქე
შემოგვისწრებს,
რომ ვისუნთქო ტკბილი დარი —
შენთან ერთად.

ვაგიფისათვის, ისევე როგორც დიდი ნიზამისათვის, უცხოა სარწმუნოებრივი კარჩაკეტილობა.

ვაგიფის პოეზია ძირითადად ოპტიმისტურია, მაგრამ ვხვდებით პესიმისტური სულიერი განწყობილების ამსახველ სტრიქონებსაც, რაც ძირითადად გამოწვეულია იმდროინდელი სოციალური პირობებით:

ხალხი იხრჩობა შაქარ ყანდში;
არას მქონენი
ჩვენღა ვართ, — სახლში შვინდიც
მარცვლად არსად არ არი.

პოეტი გულაყრილია საწუთროზე მისი გაუტანლობისა და ამაოების გამო:

მე ამ ქვეყნად ნამდვილი სწორი
ვითარება ვერ ვნახე,
რაც კი ვიხილე, მრუდე ვიხილე,
სხვა ვერაფერი ვერ ვნახე.

იგი ირგვლივ მხოლოდ სიცრუესა და კაეშანს ხედავს, პოეტს აწუხებს, რომ სიკეთე და პატიოსნება ვერაგ გარემოში საძრახის საქმედ ქცეულა. ყველაზე საგულისხმოა ლექსის ის სტრიქონი, რომელშიც ნათლად არის გამოკვეთილი სოციალური საკითხი: მონებში ვერცხლი, ბეგებთან სამართალი-ნობა ვერ ვნახე. ამ ერთ პატარა სტრიქონში უაღრესად სხარტად და გონივრულად არის ასახული ორი სოციალური მოვლენა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ვაგიფის დიდ პოეტურ ტალანტსა და ცხოვრების ღრმა ჭვრეტის უნარს. ასეთსავე მოტივებს ვხვდებით პოეტის ვრცელ ლექსში „ბაბაასება ვიდადისთან".

როგორც ცნობილია, ვაგიფი ახლოს იცნობდა საქართველოს. იგი იბრაჰიმ ხანთან ერთად 1784 წელს სწვევია ერეკლე მეორეს და მოსიბლულა ქართველთა გულითადობით, სტუმართმოყვარეობით, ქართველი ქალების სილამაზით. საქართველოში მიღებულმა ძლიერმა შთაბეჭდილებებმა პოეტს რამდენიმე მშვენიერი ლექსი დაუწერინა. იგი აღფრთოვანებულია თბილისითა და თბილისელებით.

დიდება თბილისს! დიდამიწაზე
ეს ედემია ბაღი შვებისა.
აქ სილამაზე თაობებიდან
თაობებზეა გარდამავალი,
მე ფერიათა და ანგელოზთა
უმჯობესიც კი ვნახე მრავალი.

აღტაცებით საუბრობს სტრიქონებს უძღვნის პოეტი ერეკლეს ძეს იულონ ბატონიშვილსაც:

მეფეს რა ტურფა ვაჟი ჰყავს,
სინათლე ორთავ თვალისა,
ჩრდილი ამო და მფარველი
სრულიად გურჯისტანისა,

ხარდალი სასენალისა, მტერთა
[illegible] ცეცემი [illegible]
დგას ის ნიშნ[illegible] და ლირსებით
სხვა ქვეყნის ხანთა [illegible]
ვაჟაცია და შემფერის
[illegible]
ასევე მოსილულია — პოეტი მეფის
[illegible]
[illegible] — [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]
[illegible]

გამოჩენილი ხელოვანი

დღეს თბილისის საოპერო თეატრში ოდისეი დიმიტრიადის შემოქმედებითი საღამოა

მაგონდება 1933 წელი. შესანიშნავი, ახოვანი უმაწვილი ოდისეი დიმიტრიადი სამეცადინოდ ჩამოვიდა ლენინგრადის კონსერვატორიაში. ჩვენ იქ პირველად შევხვდით ერთმანეთს.

ლენინგრადის კონსერვატორიაში მასზე წინ სწავლობდნენ უნიჭიერესი დირიჟორები, შემდეგში საბჭოთა სადირიჟორო სკოლის დამამშვენებელნი ევგენი მიქელაძე და ალექსანდრე მელიქ-ფაშაევი. ლენინგრადის მაშინდელმა დიდი კულტურის მქონე პროფესორ-მასწავლებლებმა ოდისეი მათ რიგში ჩააყენეს ნიჭით და თავისი შესანიშნავი სადირიჟორო მონაცემებით.

კონსერვატორია ოდისეიმ დიდი წარმატებით დაამთავრა და სოხუმს დაუბრუნდა. მალე საჭიროებამ მოითხოვა, რომ ის სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. იგი დიდი მუყაითობით შეუდგა ორკესტრის დაკომპლექტებას და მისი პროფესიული დონის ამაღლებას. გარს შემოიკრიბა ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორები და აი ნაყოფიც: მან პირველმა შეასრულა ალექსი მაჭავარიანის პირველი სიმფონია და მისივე სავიოლინო კონცერტი, ოთარ თაქთაქიშვილის პირველი, მეორე სიმფონიები და საფორტეპიანო კონცერტი, დავით თორაძის პირველი სიმფონია, რევაზ ლაღიძის სიმფონიური პოემა, შალვა მშველიძის მესამე სიმფონია და ანდრია ბალანჩივაძის მეორე სიმფონია. უველა ამ ნაწარმოების შესრულებაში ეს მადლმოსილი შემოქმედი თავის ნიჭს აქსოვდა და ნაწარმოებების ღრმა გახსნის დიდ უნარს იჩენდა.

მაგონდება 1952 წელი. ოდისეის წინადადებას ვაძლევთ იკისროს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორობა. ამ შესანიშნავმა მუსიკოსმა ჩვეული გატაცებითა და ენერგიით დაიწყო მუშაობა. თეატრში აღიზარდა შესანიშნავი მომღერლები. ჩვენს ეროვნულ საოპერო და საბალეტო ნიმუშებს შეემატა შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა", ო. თაქთაქიშვილის „მინდია", დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი", ა. მაჭავარიანის „ოტელო", ა. ანდრიაშვილის „ზვავი", ი. გეჯაძის „განთიადი", ო. თევდორაძის „სიმღერა თბილისზე". ოდისეიმ შესანიშნავად, თავისებურად ნიჭიერად და დიდი სიყვარულით უდირიჟორა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ „აბესალომ და ეთერს".

ოდისეი დიმიტრიადი თავის დიდ საკონცერტო მოღვაწეობაში ფართოდ იყენებს ქართულ სიმფონიურ მუსიკას. როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ იგი ამ მუსიკის შესანიშნავი იმპრეზარიტატორი და პოპულარიზატორია.

დღეს იგი დიდი თეატრის ერთერთი საუკეთესო დირიჟორი, საბჭოთა კავშირის სადირიჟორო ხელოვნების დამამშვენებელია. ჩვენ რესპუბლიკასთან მას მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი აქვს. ეს კავშირი არ შეიძლება შეწყდეს, რადგანაც ოდისეის მეორე სამშობლო საქართველოა და მისი კულტურისა და ხელოვნების ბედი მას, როგორც მის მკვიდრ შვილს აინტერესებს.

დღეს ამ შესანიშნავ მუსიკოსს 60 წელი უსრულდება. ქართული მუსიკალური საზოგადოება დიდი პატივისცემით აღნიშნავს ამ დღეს. ოპერისა და ბალეტის თეატრში ღვაწლმოსილი დირიჟორი ჩაატარებს თავის შემოქმედებით საღამოს. ოდისეი დიმიტრიადი, რომელიც ახლა თავისი ხელოვნების გაფურჩქვნის შემოქმედებითს ასაკშია, უთუოდ კიდევ დიდხანს დაამშვენებს საბჭოთა კავშირის დირიჟორთა რიგებს.

დ. მჭედლიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ფოტოაპარატით უკიდურეს ჩრდილოეთში





უკიდურესი ჩრდილოეთი, მკაცრი, უდაბური მხარე. მაგრამ რამდენი სიმდიდრეა მის წიაღში, ტყეებში, ტუნდრაში.

მსოფლიოში სახელგანთქმულია იაკუტიის ალმასები. კომბინატ „აიხალალმაზის" ახალგაზრდა კოლექტივმა ჯერ კიდევ ოქტომბრის დამდეგს შეასრულა ალმასის მოპოვების წლიური გეგმა და ახლა ქვეყანა ამ უძვირფასესი ქვის ზეგეგმითს პროდუქციას იღებს. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ გამამდიდრებელი ფაბრიკის საბოლოო დამუშავების ლაბორატორიის მუშაკებს ვალენტინა ლებედევასა და ელაიდა ლოპარევას ალმასების დახარისხების დროს (მარცხნივ); ასეთია ალმასის „ხვავი" (მარჯვნივ).

ჩრდილოეთში ნავთობიც მოიპოვება. ქვემო სურათზე — ნავთობის გზებზე.

ფოტო ვ. იაკოვლევისა და ი. საპოჟკოვისა
(ახალი ამბების სააგენტოსა და საკავშირო ფოტოქრონიკა).

ნაირ-ნაირი

ბალადა ქართველ დედაზე

ონი. (საკ. კორ.). ოლგა ემელიანეს ასულ გობეჯიშვილს არა მარტო ონელები იცნობენ. ამ უბრალო ქართველ ქალზე უკრაინა შიც ლაპარაკობენ. ქ. დნეპროძერჟინსკიდან ხშირად მოდის წერილი მთის სოფელ ხურუთში. რით გაითქვა სახელი ო. გობეჯიშვილმა?

დიდი სამამული ომის მრისხანე დღეები იყო. ოლგამ ჯერ ქმარი — ვლადიმერი გაისტუმრა ფრონტზე, შერე კი გზა დაეფიცა ვაჟს — გრიგოლს, რომელიც მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში. თავდაპირველად დედას კარგი ცნობები მოსდიოდა ბრძოლის ველიდან. „ვერეკებით ფაშისტებს საბჭოთა მიწაწყლიდან, მალე ომი დამთავრდება და გამარჯვებული დავბრუნდები", — იწერებოდა მებრძოლი. ერთ დღეს გულშემზარავი ცნობა მიიღო ჯარისკაცის დედამ. მას შვილის უგზოუკვლოდ დაკარგვას ატყობინებდნენ. აქედან მოყოლებული დიდხანს ელოდებოდა დედა შვილს. ამ მოლოდინში გავიდა 24 წელი.

რამდენიმე თვის წინათ ფოსტალიონმა უცხო ქალაქიდან ო. გობეჯიშვილის სახელზე გამოგზავნილი ბარათი მოიტანა. ქ. დნეპროძერჟინსკის მეთვრამეტე სკოლის პიონერები იწერებოდნენ:

„ჩვენ გუელით თქვენი შვილის — გრიგოლ ვლადიმრის-ძე გობეჯიშვილის საფლავს. იგი 1944 წლის 9 იანვარს დაიღუპა ჩვენი ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. დაკრძალულია სამხედრო სასაფლაოზე, რიგი 3, საფლავი 5".

დნეპროძერჟინსკისაკენ სასწრაფოდ გაემგზავრა დაღუპული მებრძოლის ორი ძმა და ნათესაობა. მათ ინახულეს თანამემამულის ფაქიზად მოვლილი საფლავი და გვირგვინებით შეამკეს იგი. აქ მათ ბევრი უკრაინელი მეგობარი გაიცნეს. გაიბა ძმური მეგობრობა. მალე დნეპროძერჟინსკელები რაჭაში ჩამოვიდნენ. მათ ინახულეს გმირის მშობლიური სოფელი, კარმიდამო და მოხუცი დედა, რომელსაც ბევრი ეპიზოდი უამბეს შვილის საბრძოლო ცხოვრებიდან.

დნეპროძერჟინსკელმა პოეტმა ალექსანდრე ტარანენკომ დაწერა ვრცელი ლექსი „ბალადა ქართველ დედაზე", რომელიც მშობლიური ქალაქის განთავისუფლებისათვის დაცემული ქართველი მებრძოლის — გრიგოლის დედას — ოლგა გობეჯიშვილს მიუძღვნა.

ეს ლექსი სთანადო კომენტარით გამოაქვეყნა გაზეთმა „ძეგელეცმა".

ვ. ცირეკიძე,
(საკ. კორ.)

ერთი კაპიტალური ცხრა ძმამ გაიყო

სერგი თევდორეს-ძე ეფიმოვმა — რადიშჩევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მოყვარულმა მებაღემ შეძლო ერთი პამიდორით გამასპინძლე ბ ო დ ა მეგობართა ჯგუფს. ეს გადაჭარბებულად არ მოგეჩვენებათ, თუ გაითვალისწინებთ, რომ პამიდორი... თითქმის ორკილოგრამიანი იყო.

გასულ ზამთარში ეფიმოვმა მიიღო ამანათი, რომელშიც იყო ბრაზილიური ჯიშების „და ბარაოსა" და „სან-მორშანის" პამიდორის თესლი. მებაღეს ეეჭვებოდა ისარებდნენ კი ეს ჯიშები გვალვიან ვოლგისკენ რაიონში?

ზამთარში ეფიმოვმა მთელი ბინა სათბურად გადააქცია.

ამ შემოდგომაზე სერგი ეფიმოვმა მიიღო პირველი თესლი. არა, ეს უკვე აღარ იყო მორეული სტუმარი: საკუთარი, ხტებისა იყო. უამინდობასაც ბაუძლო, სიცხესაც.

ახლა რადიშჩევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბევრ მცხოვრებს მომავალი წლისათვის იქნება გიგანტი პამიდორები. მადლობის ნიშნად, მცხოვრებლებმა უცხოურ ჯიშს უწოდეს: „ეფიმოვის ბარაო".

ნოვოუზენსკი,
სარატოვის ოლქი.

ასე გადარჩა ისტორიული განძი

აი რას გვიამბობენ სვანური ლეგენდები

„შენ ისევ ჩანხარ როგორც გიდელი, ციცაბო კლდეზე ჩამოგიდული", — ამბობს სოფელ ადიშზე „პოეტი რევაზ მარგიანი. თეთნულდის, დონღუზ-ორუნისა და ინგილ-თაუს შორის მოქცეულა სვანეთის ეს ლამაზი, ციხე-სიმაგრესავით მიუვალი სოფელი.

ადიში იმითაც არის განთქმული, რომ მის მკერდნაკაწიარ კოშკებში საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა უძველესი ქართული მწიგნობრობის უნიკალური ძეგლი — ადიშის ოთხთავი. მამა-პაპას შთამომავლობისათვის გადმოუცია ამ ისტორიული განძის დაცვისათვის თავდადებულთა სახელები. თვით ოთხთავი და მისი დამცველებიც ლეგენდებად ქცეულან.

როცა საქართველოს შინაშლილობა მოეძალა, გარეშე მტერიც ვითამამდა. სვანეთზე ჩრდილოეთ კავკასიიდან თავდასხმას თავდასხმაზე აწყობდნენ. მომხდურთა მიზანი იყო გაეძარცვათ სვანეთის ეკლესია-მონასტრები, სადაც ოქრო-ვერცხლი და სხვა განძეულობა ეგულებოდათ.

სამშიროება დაემუქრა ადიშსაც. ამის გამო ადიშელებმა ეკლესიიდან გამოიტანეს ძვირფასი „ოთხთავი" და კუბოში ჩადეს. კუბო კი ერთ-ერთი საწლის გუმურში (სვანური „გგეში". იგი მიწამი გათხრილ თავდაცვის თავისებურ საშუალებას წარმოადგენდა) მოადგეს მოკირწყლულ კედელს, ირგვლივ ფიქალი შემოუწყეს და საიმედოდ ჩაკირეს. ეს სახლი ბეძურნა და ბუღა ავალიანებს ეკუთვნოდათ.

ერთ-ერთი თავდასხმის დროს ტყვედ წაუყვანიათ ექვსი ადიშელი.

რედაქცია დაინტერესდა ამ უნიკალური ძეგლის ისტორიით. ჩვენი კორესპონდენტი ესტუმრა საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც მას უპასუხეს:

„ადიშის ოთხთავი" გადაწერილია 897 წელს შატბერდში მიქაელის მიერ. 1916 წელს იგი ფოტოტიპურად გამოსცა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით.

ამ გამოცემას საფუძვლად დაედო ფოტოსურათები, რომელიც ცნობილ რუს ფოტოგრაფს დ. ერმაკოვს გადაუღია სვანეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს, 1910 წელს.

„ადიშის ოთხთავის" მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის აკადემიკოს აკაკი შანიძეს — „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. 1945 წელი".

„ადიშის ძეგლი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი განსხვავდება ოთხთავების სხვა ჩვენამდე მოღწეული ნუსხებისაგან. ის რედაქციულად შეესწავლა ი. იმნაიშვილმა და დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში. (XXVIII, 1946, XXX, 1947).

ალისტრო არსენის-ძე ოსეფაიშვილი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მექანიზაციის განყოფილების გამგემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა **ალისტრო არსენის-ძე ოსეფაიშვილმა** საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

კომკავშირული მუზეუმი

ბეგერი მნახველი ჰკავს კოლხეთის ზღვისპირა ქალაქ ფოთის პიონერთა სახლში გახსნილ კომკავშირულ მუზეუმს. წარმოდგენილი მასალები — ფოტოსურათები, კომკავშირული ბილეთები, დახასიათებები, ჩანაწერები, მოგონებები ასახავენ ფოთის კომკავშირული აქტივის შრომითს, საბრძოლო და საზოგადოებრივ საქმიანობას ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი წლებიდან დღემდე.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფოთში კომკავშირული ორგანიზაციის დაარსების ამსახველი მასალები.

ჯ. კომახიძე.

საბჭოთა ფეხბურთელების ტურნე

„ურალმაში" — უძლიერეს ლიგაში

გუშინ სოჩში დამთავრდა „ა" კლასის მეორე ჯგუფის ქალაქებში გამარჯვებულთა ტურნირი ფეხბურთში.

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერობას ინარჩუნებდა სვერდლოვსკის „ურალმაში", რომელსაც სამი ქულა ჰქონდა, ამიტომ უკანასკნელი მატჩებიდან პირველ რიგში ყურადღების ცენტრში იდგა „ურალმაშისა" და ლვოვის „კარპატის" პაექრობა. ბრძოლა შეუთანავი აღმოჩნდა და ლამთავრდა ფრედ — 1:1.

მეორე მატჩი ნიკოლაევის „სუდოსტროიტელისა" და ოშსკის „ირტიშის" გუნდებს შორის დამთავრდა ოშსელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ამრიგად, სვერდლოვსკის „ურალმაშმა" 6-დან 4 ქულა შეაგროვა და ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა. სვერდლოვსელ ფეხბურთელებს 12 წლის შემდეგ კვლავ „ა" კლასის პირველ ჯგუფში ვიხილავთ.

უკვე ტრადიციად იქცა, რომ სუზონის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდები საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. მწვანე მოედნებზე „აზრთა" გაზიარება ხომ ყოველთვის დადებითს გავლენას ახდენს წამყვანი საბჭოთა ფეხბურთელების თამაშის კლასზე.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ფინიშის შემდეგ საზღვარგარეთ პირველნი გაემგზავრნენ მინსკის დინამოელები. მათ მოელათ შვიდი მატჩი ინდოეთის სპორტსმენებთან. დეკემბრის პირველ დღეს დონეცკის „შახტიორის" ფეხბურთელები შგანდაში გაფრინდებიან. შემდეგ ისინი ითამაშებენ სუდანსა და ლიბიაში. ერთსა და იმავე დღეს — 8 დეკემბერს — თბილისის დინამოელები დაიწყებენ ტურნეს კამბოჯისა და სინგაპურის სტადიონებზე. „ნეფტჩი" კი ირანსა და სირიაში.

დეკემბრის შუა რიცხვებში ჩვენი ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები — მოსკოვის **ტორპედოელები** გაფრინდებიან **ბერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.** იქ გამართავენ ოთხ ამხანაგურ მატჩს. **ოდესის „ჩერნომორეცი"** ეწვევა ლიბანს, სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონები მოსკოვის სპარტაკელები ახალ წელს შეხვდებიან **ინდოლიაში,** სადაც გაემგზავრებიან 28 დეკემბერს. ალბათ, დეკემბრის შუა რიცხვებში **კიევპრესში** ითამაშებენ **ქუთაისის „ტორპედოს"** ფეხბურთელები.

ვ. ქარსელაძის მემორიალი

გუშინ გორში ვ. ქარსელაძის ხსოვნის საპატიკო ტურნირზე გათამაშდა მერვე ტური. ტალმა დაამარცხა **ჩიკოვანი, გრიგორიანმა — ბოკუჩავა, გუფელდმა — გაფრინდაშვილი, ბელერმა — მიქაძე.**

ლიდერია ვ. ტალი, რომელსაც 5,5 ქულა აქვს. დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

ჩემპიონთა თასზე

ბრძოლდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

ვარშავაში ერთმანეთს შეხვდნენ კრაკოვის „ვისლა" და სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 69:56, მაგრამ თასის გათამაშების მერვეედფინალში მაინც სტამბოლის კალათბურთელები გავიდნენ, რადგან მათ პირველი მატჩი უკეთესი შეფარდებით (91:70) ჰქონდათ მოგებული.

სტოკჰოლმში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი კალათბურთში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ესენის მტკ-ს საკლუბო გუნდს პაექრობა ჰქონდა შვეციის „ალვიკს ბკ-ს" კალათბურთელებთან. წარმატება სტუმრებს ხვდათ 61:60 (39:28). ამ გუნდების მეორე მატჩი გაიმართება ესენში.

დღეს გაძლიერებული ტურია

გორში დასასრულს უახლოვდება საქართველოს „ბ" კლასის ფეხბურთელთა ოთხი უძლიერესი კოლექტივის ტურნირი. დღეს ამ გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები. ყურადღებას იპყრობს ლიდერებს — გორის „დილასა" და რუსთავის „მეტალურგის" პაექრობა, რომლებსაც ორი ტურის შემდეგ სამ-სამი ქულა აქვთ. მეორე მატჩში კი ერთმანეთს შეხვდებიან მახარაძის „მერეხალი" და ლანჩხუთის „გორია".

ძვირფასო მკითხველებო!

თუ გინდათ, რომ გაზეთი „კომუნისტი" 1 იანვრიდან მიიღოთ, გაბსოვდეთ:

ხელმოწერა ადგილობრივ დარჩა

მხოლოდ 2 დღე — 24 და 25 ნოემბერი.

ორშაბათი ხელმოწერის უკანასკნელი დღეა!

გაზეთზე ხელის მოწერა შეგიძლიათ საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან თქვენი მუშაობის თუ სწავლის ადგილას და კავშირგაბმულობის რომელიც გნებავთ განყოფილებაში.

კომუნისტი

„კომუნისტზე" ხელმოწერა მიიღება ყველგან, სრულიად შეუზღუდველად

ხელის მოწერის ფასი:

1 წლით	6 მან.
ნახევარი წლით	3 მან.
3 თვით	1 მან 50 კაპ.
1 თვით	50 კაპ.

ტელევიზია

კვირა, 24 ნოემბერი

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხატვრობით გეომეტრიაში, 10.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 2. მხატვრული ფილმი „მოროზკო" (ქართული ვარიანტი), 12.20 — კინონარკვევი, 12.50 — „ჩვენი სამშობლოს წმიდა ადგილები" (გადმოცემა ოდესიდან), 13.20 — „გაიკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით, ჩვენზე უკეთ" (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი დ ა ნ), 14.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე". 1926 წელი (ქართულ ენაზე), 15.00 — კინოპროგრამა, 15.30 — — ირკუტსკის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — კინონარკვევი, 18.20 — გადაცემა „ახალი ქართული დოკუმენტური ფილმები", 19.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — პროგრამა მეორე დღისათვის, 19.35 — გადაცემა „ქართული სცენის ჯადოქარი" — უმნიკი ჩხეიძე (დაბადების 70 წლისთავის გამო), 20.35 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 21.15 — მხატვრული ფილმი „შემოხვევა, რომელიც ვერავინ შეამჩნია", 22.30 — „შვიდი დღე" — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

ორშაბათი, 25 ნოემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.15 — ბავშვებისათვის „მხიარული თამაშობანი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „ცამეტი სკამი" — 22 ნოემბრის გადაცემის გამეორება (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა „მეერის მარსელ ამონ" (22 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „იყო და არა იყო რა", 18.40 — „ჩვენ ინელისურს ვსწავლობთ", 19.00 — გადაცემა „ცხოვრების მხარდამხარ", 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — გადაცემა „გზები და გზაჯვარედინები", 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა: 1. ბავშვებისათვის „ბბა დამაკვირდი", 2. „გლობუსი", 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ქვეყება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს", 22.10 — მხატვრული ფილმი „ათასი ფანჯარა".

თეატრები

კვირა, 24 ნოემბერი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „ყვავილთა სამყაროში (დღისით), სსრ კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ ოდესი დიმიტრიადის შემოქმედებითი საღამო (საღამოს), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი ღამე (დღისით), სიბრძნე სიცრუისა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ანტიგონე (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — „ძია ბალდასარი" (დღისით), წმინდანები ჯოჯოხეთში (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (დღისით), სიმღერა ტყეში (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნუ გიჩქარებთ სიცილი (№ 30 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), ოლეგები (№ 39 აბონ. საღ. 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ფიფქიას სკოლა (დღის 12 საათზე).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

გ. ნიჟარაძე



გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი მიორბი გაბრიელისძე ნიჟარაძე.

გ. ნიჟარაძე დაიბადა 1887 წელს ლეჩხუმის მაზრის სოფელ უშგულში, პირველი სვანი პედაგოგის გაბრიელ ნიჟარაძის ოჯახში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ქ. ოდესაში. 1913 წელს ახალგაზრდა ექიმი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. იგი პირველი სვანი იყო, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება ჰქონდა.

1914-1918 წლებში, პირველი მსოფლიო ომის დროს გ. ნიჟარაძე, როგორც ექიმი მოქმედ არმიაში სამედიცინო ნაწილის უფროსად მუშაობდა. ომის შემდეგ იგი კვლავ სვანეთშია და ნაყოფიერად მოღვაწეობს: ეუწყა ფართო სანიტარულ პროპაგანდას, იბრძვის ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და იმ მავნე ჩვეულებების წინააღმდეგ, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს, საუკუნეების მანძილზე დიდ ზიანს აყენებდა. მალე გ. ნიჟარაძე სვანეთის არსებობის ისტორიაში პირველ საგადამყოფოს ხსნის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას შესაძლებლობა მიეცა კიდევ უფრო სრულად გამოევლინებინა თავისი ცოდნა და უნარი. ფილიპე მახარაძის რეკომენდაციით გ. ნიჟარაძე, როგორც ხალხის ერთგული მსაუბარი კარგახანს ზემო სვანეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გ. ნიჟარაძე იყო მესტიის რაიონაგადამყოფოს თერაპევტი, რენტგენოლოგი, მესტიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, ხოლო სამამულო ომის დროს — ეკაკოჰოსპიტლის რენტგენოლოგი. გ. ნიჟარაძე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს უმწიკლოდ ემსახურა თავის მშობლიურ კუთხეს ენერგიულ, შრომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამ ხნის მანძილზე მან მრავალ ახალგაზრდა სვან ექიმს გადასცა თავისი მდიდარი გამოცდილება. მხოლოდ ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო გადავიდა 1967 წელს პენსიაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ მისი ღვაწლი ღირსეულად დააფასა. გ. ნიჟარაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება. სამამულო ომში მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იყო რამდენიმე საბრძოლო მედლით, დანიშნული ჰქონდა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია.

დღეწოლმოსილი ექიმის, შესანიშნავი მოქალაქის გ. ნიჟარაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამსანაგებისა და მშობლიური მხარის მკვიდრთა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ხანსაღმელის ზამთრის ფორმაზე მაღალხელის შესახებ

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით, თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1968 წლის 25 ნოემბრიდან ტანსაცმლის ზამთრის ფორმაზე გადადიან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

2 კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03 09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22 93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 01, ინფორმაციის — 93-16 90, წერილების 99 73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96. | ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 11113 | საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. | 1